საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

წერილი N 21/2944 -ის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს ,,ხონის პლანტაციები" ს/კ 412732315, ხონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქუტირში, საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთებზე (შპს "ბლუბერი" ს/კ 412732743 და შპს "აგრო კულტურა" ს/კ 405241714) გეგმავს შავი მოცვის პლანტაციის გაშენებას.

კომპანია არის ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალისა" და „შეღავათიანი აგროკრედიტის" პროექტის ბენეფიციარი, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება იგეგმება ამ პროექტის ფარგლებში.

პლანტაციის გაშენების, მოწყობისა და შემდგომი ექსპლოატაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მორწყვის პროცესს, განსაკუთრებით, გვალვის პერიოდში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმო გეგმავს მოაწყოს წვეთოვანი სარწყავი სისტემა და მორწყვისთვის საჭირო წყალი ამოიღოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან, კერძოდ პატარა მდინარისგან (სახელწოდება ვერ მოიძებნა), რომელიც იბადება შპს ,,ხონის პლანტაციების" მიმდებარედ, მიუყვება პლანტაციის საზღვარს და უერთდება მდინარე ცხენისწყალს.

ვინაიდან ზემოთ აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის პირველი პუნქტის, 1.3- ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე სამინისტრო ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ. საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილებას.

წარმოგიდგენთ საქმიანობის ზოგად ტექნიკური მახასიათებლებს (იხ.დანართი N 1 - ,,დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები").

პატივისცემით,

შპს ,,ხონის პლანტაციების" დირექტორი

ანა ომიაძე

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„14" 07 2022 წ.
№ 3229

საკონტაქტო პირი - ტელ: 577 77 71 71